



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/1453-15

29 იანვარი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაძე, გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - საქართველოს მთავარი პროკურატურა

წარმომადგენელი - პ. კ.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 მარტის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 მარტის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა (ს.ფ. 122-131).

აღნიშნული განჩინება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა (ს.ფ. 135-138).



პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონტექსტში დაინტერესებულია პირი, რომლის უფლებრივ მდგომარეობასა ან/და ინტერესებზე ზეგავლენას ახდენს საქმის განხილვის შედეგი.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ს.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელე თ. ს. ცნობილ იქნა ქ. თბილისში, მ.-ს ქუჩის დასაწყისში მდებარე, ფართი (მშენებარე), სართული XX, ბინა №XXX, ფართი - 61.40 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX-ის მესაკუთრედ და აღირიცხა მის საკუთრებაში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში (ს.ფ. 68-69).

პალატა განმარტავს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო აბრუნებს უფლებრივად უნაკლო ქონებას, საქმის წარმოების პროცესში ყველა ის სუბიექტი უნდა მონაწილეობდეს, რომელიც აღნიშნულ ქონებაზე პრეტენზიას აცხადებს, ანუ რომლის უფლებაც აღნიშნულ ქონებას უფლებრივად ნაკლიანად აქცევს.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ 2011 წლის 19 მაისის საჯარო რეესტრის ამონაწერზე, რომლის მიხედვითაც, უძრავი ქონების, მდებარე, ქალაქი თბილისი, მ.-ს ქუჩის დასაწყისი, სართული XX, ბინა XXX, საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX მესაკუთრედ რეგისტრირებულია შპს „თ. ფ. ი.“ (ს.ფ. 27-28).

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 24 მაისის #88201322429X-XX გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ სადავო უძრავი ქონება ნაკლიანია, კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილებით განმცხადებელ თ. ს.-ს უარი ეთქვა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უძრავ ქონებაზე, მდებარე, თბილისი, მ.-ს ქუჩის დას. სართული XX, ბინა XXX [ზონა: თბილისი, სექტორი: ვაკე], ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებულია ყადაღა, საფუძველი: განჩინება, N1-გ-268, 16.05.2013, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია (ს.ფ. 30).

საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით დგინდება, რომ მოპასუხე შპს „ო. კ.-მ“ სარჩელი ცნო (ს.ფ. 74).

აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე მხარეებმა უარი განაცხადეს (ს.ფ. 66), შესაბამისად, გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

პალატა განმარტავს, რომ იმთავითვე ნათელია, რომ სასარჩელო წარმოება უძრავი ქონების მოპასუხის სახელზე რეგისტრაციას ემსახურებოდა.

საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომ სადავო უძრავი ქონება დაყადაღებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინებით (ს.ფ. 87-98). განჩინებაში განმარტებულია სადავო ქონების დაყადაღების მიზანი, კერძოდ, საგამომიებო კოლეგიის განმარტებით, ყადაღის მოთხოვნა პროკურორის მიერ მოტივირებულია მიყენებული ზიანის ანაზღაურების და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ქონების დაყადაღებას



სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამიტომ, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფა (ს.ფ. 94).

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე მესამე პირად ჩართული უნდა ყოფილიყო ის სუბიექტი, რომლის განცხადებითაც უძრავ ქონებაზე საპროცესო სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიება იქნა გამოყენებული.

ამასთან, პალატა დამატებით განმარტავს, რომ საგამოძიებო კოლეგიის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება დაზარალებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება, შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი წესით საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, თუ თ. ს. სადავო ქონების ნამდვილი შემძენია, საქმეზე სასარჩელო წარმოების შედეგად იგივე შედეგი დადგება, თუ, რა თქმა უნდა აღნიშნული გარიგების ბათილობის კანონით გათვალისწინებული სხვა პირობა არ არის სახეზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელესა და მოპასუხის ერთობლივი მოქმედება ნამდვილი გარიგების შესრულების მიზნებს არ ემსახურება, ასეთ ვითარებაში, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. წარმოდგენილი გარიგების მოჩვენებითობა, თვალთმაქცურობა, თუ სხვა სახის კანონწინააღმდეგობა, მესამე პირის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია, რომელთა დადასტურებაც, საპროცესო სამართლებრივად, მხოლოდ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის პირობებშია შესაძლებელი (მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით).

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვნების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება.

„საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის #4 ბრძანების მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნივთზე რეგისტრირებული საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა (მისი შინაარსის გათვალისწინებით) გამორიცხავს ამ ნივთზე სხვა რაიმე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტის მიღების, გამოცემის ან შედგენის მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებასა ან სასამართლო პროცესში/საარბიტრაჟო წარმოებაში, რომელიც დასრულდა მხარეთა მორიგებით, მონაწილეობდა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის საფუძველად გამოყენებული დოკუმენტის გამოცემის, მიღების ან შედგენის ინიციატორი ან მისი უფლებამონაცვლე.

ამდენად, მითითებული მუხლის მიხედვით, იმისათვის, რომ საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის პირობებში სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მორიგება გახდეს ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის ცვლილების რეგისტრაციის საფუძველი, აუცილებელია, რომ მორიგებაში მონაწილეობდეს საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის საფუძველად გამოყენებული დოკუმენტის გამოცემის, მიღების ან შედგენის ინიციატორი ან მისი უფლებამონაცვლე.



პალატა განმარტავს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის #4 ბრძანების მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მორიგებას, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, უთანაბრდება სარჩელის ცნობა, ასევე მხარეთა მხრიდან სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე სრულად დათანხმება და გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა. აღნიშნული საპროცესო მოქმედებები ერთობლიობაში იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მხარეები სასამართლო გადაწყვეტილების ამგვარ სამართლებრივ შედეგზე იმთავითვე მორიგებულები იყვნენ, შესაბამისად, ასეთ პირობებში, აუცილებელია სასამართლო სამართალწარმოებაში იმ მესამე პირის ჩაბმა, რომლის მოთხოვნის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 მარტის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე და საქმე საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 15 იანვრის განცხადების ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 მარტის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე და საქმე საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 15 იანვრის განცხადების ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაიძე

გოდერძი გიორგიშვილი